ანალიტიკური წერა

A ტიპის ტესტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

მწერალი, რომელიც თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე წერს რომანებს, დიდი წარმატებით სარგებლობს. მის რომანებს გამოსცემენ ცნობილი გამომცემლები, ისინი ითარგმნება სხვადასხვა ენაზე და დიდი ტირაჟით იყიდება.

ბოლო დროს მწერალი ისტორიული ჟანრით დაინტერესდა, მან გადაწყვიტა ისტორიული რომანის დაწერა სამ ტომად. პირველი ტომი გამოაქვეყნა დამწყებმა, ნაკლებად ცნობილმა გამომცემლობამ, რომელიც იმედოვნებდა, რომ ცნობილი მწერლის სამტომეულის გამოცემით საგამომცემლო ბიზნესში საკუთარ ადგილს დაიმკვიდრებდა.

ორი თვის შემდეგ გამომცემლობამ აღმოაჩინა, რომ რომანის პირველი ტომის გაყიდვის მაჩვენებელი, მწერლის ადრე გამოცემული წიგნების გაყიდვის მონაცემებთან შედარებით, ნაკლებია. გამომცემლობამ მიიჩნია, რომ მწერალი შემოქმედებით კრიზისშია და უარი თქვა მასთან სამომავლო თანამშრომლობაზე.

კრიტიკულად შეაფასეთ გამომცემელთა გადაწყვეტილება; იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო წიგნის გაყიდვის მაჩვენებლის შემცირების მიზეზები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

იმისათვის, რომ ქალაქის ძველი უბნები მიმზიდველი გახდეს ტურისტებისათვის, ისინი მაქსიმალურად უნდა განიტვირთოს ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან; სანაცვლოდ, ამგვარ უბნებში უნდა გაიხსნას კაფეები და რესტორნები, სუვენირების მაღაზიები, საგამოფენო დარბაზები, თეატრები და მისთ.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.